

აკრედიტებული და ახალდაფუძნებული ლიცენზირებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების თვითშეფასების ანგარიში

I. ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

აიბი ევრო-კავკასიური უნივერსიტეტი

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა:

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახე:

კოლეჯი

სასწავლო უნივერსიტეტი

უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი: **20 50 13 448**

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო საქმიანობის ლიცენზიის გაცემის თარიღი: **26. 09. 2003**

II. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მისია

აიბი ევრო-კავკასიური უნივერსიტეტი არის სამხრეთ კავკასიის რეგიონში ამ ეტაპზე პირველი და ერთადერთი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს თავის საქმიანობას გერმანული ინვესტიციით და საერთაშორისო საგანმანათლებლო ქსელის ახალგაზრდობის კულტურული და საგანმანათლებლო კავშირის (Internationaler Bund - გერმანია, მაინის ფრანკფურტი) სახელით. ამიტომ, მისი მისიაა, ერთის მხრივ, დააკმაყოფილოს ქართული საზოგადოების ინტერესი აკადემიური და პროფესიული უმაღლესი განათლების მიმართულებით, ხოლო, მეორეს მხრივ, დამფუძნებლის (Internationaler Bund) ინტერესის გათვალისწინებით, გამოიყენოს აიბი ევრო-კავკასიური უნივერსიტეტის რესურსები კავკასიის რეგიონში გაფართოვებული საგანმანათლებლო ქსელის ჩამოსაყალიბებლად, რომლის ფარგლებში დაინერგება ახალი პროფესიული და აკადემიური სტანდარტები.

აიბი ევრო-კავკასიური უნივერსიტეტი თავის მისიას ხედავს იმ საქმიანობის განხორციელებაში, რომელიც ხელს შეუწყობს **ევროპული ღირებულებების გავრცელებას** ქართულ-კავკასიურ

რეგიონში, ხოლო საზოგადოების დიდ ნაწილს საშუალებას მისცემს, მრავალფეროვანი და მარტივად განხორციელებადი გახადოს ხარისხიანი განათლების მიღება.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____ ბ.ა.

უნივერსიტეტის სასწავლო სტანდარტები სრულიად თავსებადია იმ მოთხოვნებთან, რაც ბოლონიაში, უნივერსიტეტთა დიდ ქარტიაზე (Magna Charta) ხელმოწერმა ქვეყნებმა და ცალკეულ უნივერსიტეტთა რექტორებმა გამოხატეს. ამ ხელმოწერთა (უნივერსიტეტთა მხრიდან) სიას 2008 წლის სექტემბერში შეუერთდა აიბი ევრო-კავკასიური უნივერსიტეტიც. თავის საქმიანობას უნივერსიტეტი აგებს ლისაბონის კონვენციის პრინციპების გათვალისწინებით, აგრეთვე, უმაღლესი განათლების სფეროში საქართველოს კანონმდებლობაში ასახული საქართველოს სახელმწიფო ინტერესის და საკუთარი ავტონომიურობის უფლების დაცვით.

კულტურულ, სამეცნიერო-კვლევით და საგანმანათლებლო სივრცეში გარე და შიდასაუნივერსიტეტო კონტაქტების გააქტიურებით, აიბი ევრო-კავკასიური უნივერსიტეტი მუდმივ მზადყოფნას გამოხატავს, განახორციელოს ახალი იდეები, ინოვაციური პროექტები და შექმნას თანამედროვე სამეცნიერო გარემო, დაფუძნებული, თავისუფალი და სამართლიანი კონკურენციის პირობებში პიროვნების თვითრეალიზაციის შესაძლებლობათა ოპტიმალურ წარმოჩენაზე, კოლეგიალური ურთიერთობების ჩამოყალიბებასა და სამოქალაქო ერთიანობის განცდაზე.

უნივერსიტეტის განუხრელად ადგას სტუდენტთა და პროფესორთა **მოხილობის გააქტიურების, ერთობლივი და ორმაგი დიპლომების მოპოვების პროცედურის ხელშეწყობის, ხარისხიანი და უწყვეტი განათლების სისტემის დანერგვისა** და მისი მუდმივი განვითარების გზას; უნივერსიტეტი ხელს უწყობს ადამიანური რესურსების ჩართვას პროფესიული გადამზადების, კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამებში, აკადემიური რესურსის ჩართვას სამეცნიერო-კვლევითი ინტერესების ველის გაფართოებაში; სწავლების მეთოდოლოგიის მუდმივ განახლებას და ახალი მეთოდების ათვისებას; შეფასების უწყვეტი და მყარი, სტაბილური სისტემის აგებას; მართვაში ინოვაციური და ეფექტიანი მენეჯმენტის განხორციელებას.

განვითარების პერსპექტივებს უნივერსიტეტი აგებს საზოგადოებისათვის დიპლომამდელი და დიპლომისშემდგომი განათლების და მთელი სიცოცხლის მანძილზე უწყვეტი განათლების შეთავაზებით, რომელიც აკადემიური პროგრამებისათვის სამსაფეხურიანი აკადემიური პროცესის ცნობადობაზეა დაფუძნებული. უნივერსიტეტის აღიარებს საერთაშორისო შესაძარობისა და ექვივალენტობის პრინციპებს.

ცვალებად და გლობალურ სამყაროში **ცოდნის შენარჩუნება და გადაცემა, სოციალური ტრანსფორმაციის ხელშეწყობა**, ახალი ცოდნის მიღების შესაძლებლობების მუდმივი დახვეწა სწორედ საუნივერსიტეტო განათლების გზით არის შესაძლებელი. როგორც სოციალური ინსტიტუტი, უნივერსიტეტი ადექვატურად პასუხობს გარემო ცვლილებებს. სწრაფი და ეფექტური რეაგირება, ახალ-ახალი ფორმების ძიება განათლების ხელმისაწვდომობისა და ინდივიდუალური მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით, ამ მიმართულებათა და შესაძლებლობათა მრავალფეროვნება, კონკურენტუნარიანი გარემოს ჩამოყალიბებას უწყობს ხელს და წარმოადგენს აიბი ევრო-კავკასიური უნივერსიტეტის ძირითად სანიშნეს.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____ ბ.ა.

საზოგადოებაში არსებული სოციალურ-ეკონომიკური თუ მენტალური ხასიათის პრობლემათა დაძლევა საუნივერსიტეტო განათლების საშუალებით, **ცოდნის საზოგადოების შექმნა და სწავლებისა და კვლევის ერთიან სისტემად გააზრება, კომპეტენციათა მაღალი სტანდარტების შენარჩუნებით მიიღწევა.** აიბი ევრო-კავკასიური უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამები და კვლევითი საქმიანობის ეფექტურობა დამოკიდებულია მატერიალური რესურსების მუდმივ განვითარებასა და მიზნობრივ გამოყენებაზე.

აიბი ევრო-კავკასიური უნივერსიტეტი განუხრელად იცავს **კურსდამთავრებულთა საზოგადოების და მომუშავე პერსონალის სოციალურ ინტერესს**, მათთვის გარანტირებული მომავლის შექმნამდე.

მისი დევიზია: არც ერთი დიპლომი – დასაქმების გარეშე.

აიბი ევრო-კავკასიური უნივერსიტეტის მისიის განსაზღვრის ფუძემდებლური პრინციპებია:

- აკადემიური თავისუფლება
- სინდისის თავისუფლება
- არჩევანის თავისუფლება
- ცოდნის ხელმისაწვდომობა

ამ პრინციპების დაცვით, აიბი ევრო-კავკასიური უნივერსიტეტი განმარტავს თავის მისიას შემდეგნაირად:

- ქართული სახელმწიფოს ფარგლებში, საზოგადოებაში, ზოგადსაუნივერსიტეტო ღირებულებების დამკვიდრება და სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ხელშეწყობა;
- სტრატეგიული, ინტერდისციპლინური და გამოყენებითი ხასიათის პრობლემათა შესწავლა, კვლევა და კვლევის შედეგების იმპლემენტაცია;
- საზოგადოების სოციალური დაცვის გარანტიად ცოდნაზე დაფუძნებული საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა;
- კონკურენტუნარიანი სპეციალისტებისა და მკვლევრების მომზადება და დასაქმება, მათი სოციალური დაცვის პასუხისმგებლობის გაზიარება;
- სტუდენტთა და პროფესორთა მობილობის ხელშეწყობა.

აღწერის ნაწილი დასტურდება შემდეგი დოკუმენტებით:

1. **უნივერსიტეტის წესდება**, თავი I, მუხლი I, გვ. 4 (დამტკიცებულია, 2008 წლის 25 სექტემბრის სენატის სხდომაზე, ოქმი N5, ბრძN131. 26.09.2008)
2. **უნივერსიტეტის სენატის გადაწყვეტილება** უნივერსიტეტის მისიაში ცვლილებების შეტანის თაობაზე და სამუშაო ჯგუფის გამოყოფაზე, პროცესის გამჭვირვალედ ჩატარებაზე, ბრძ. 10/36, 02.06.2010
3. **უნივერსიტეტის სენატის გადაწყვეტილება მისიის მიღების შესახებ**, 2010 წლის 15 მაისი, ოქმი N2, ბრძ. N10/36, 02.06.2010წ.
4. **მისიის ახსნა უნივერსიტეტის საზოგადოებისათვის, პროცესის გამჭვირვალობა** – ვებზე და საინფორმაციო დაფაზე განთავსება, შიდა ქსელში განთავსება, განხილვა სტუდენტებთან, პროფესორ-მასწავლებლებთან (იხ. ხარისხის მართვის სამსახურის სხდომის ოქმი N4, 30.04. 2010)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____ ბ.ა.

III. სტანდარტები

მატერიალური და ფინანსური რესურსი

1.1 დაწესებულების საკუთრებაში ან მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსი გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის, შეესაბამება საგანმანათლებლო და კვლევით პროგრამებს

აღწერა: უნივერსიტეტის მატერიალური და ფინანსური რესურსი მთლიანად მობილიზებულია იმ სასწავლო პროგრამების განსახორციელებლად, რომლებიც, უნივერსიტეტის მისიიდან გამომდინარე, ამჟამად წარმოადგენს უნივერსიტეტის საგანმანათლებლო კონცეფციას. ყოველი პროგრამისთვის გამოყოფილია საჭიროებების შესაბამისი სასწავლო რესურსი. სასწავლო პროგრამების საჭიროებები დადგენილია კურიკულუმის განვითარების სხდომებზე და შესაბამისად, გამოყოფილია შემდეგი ინვენტარი. კერძოდ: ყველა პროგრამისთვის გამოყოფილია სასწავლო აუდიტორიები, აკადემიური პერსონალისთვის გამოყოფილია აკადემიური სივრცე, საინფორმაციო – საკომუნიკაციო ტექნოლოგიები ხელმისაწვდომია დღის ნებისმიერ შუალედში, როგორც სტუდენტისათვის, ასევე პროფესორისათვის.

დასტურდება:

1. უნივერსიტეტის მიერ 2007–2010 წლებში შესყიდული სასწავლო ინვენტარი და მატერიალური ქონება (შესყიდვის აქტები, მატერიალური ქონების საგადასახადო დოკუმენტაცია, ინვენტარიზაციის აქტები ინახება ბუღალტერიაში);
2. მატერიალური რესურსის და აუდიტორიების განაწილებების სქემების დამტკიცების ბრძანება #37, 27.12.09;

1.2. უნივერსიტეტი ახორციელებს მის საკუთრებაში ან ფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსების პერიოდულ შეფასებას მათ განახლება-განვითარებას, დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფისა და უნივერსიტეტის ინსტიტუციური განვითარების სტრატეგიების ფარგლებში.

აიბი ევრო-კავკასიური უნივერსიტეტის მატერიალური რესურსი შემდეგნაირად ნაწილდება:

I.ა) სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე

2009 –2010 სასწავლო წელს ფაკულტეტი ახორციელებს 3 საგანმანათლებლო პროგრამას: საერთაშორისო ურთიერთობები (ყველა დონეზე), ჟურნალისტიკა (საბაკალავრო დონე), ფსიქოლოგია (საბაკალავრო დონე).

საერთაშორისო ურთიერთობების საგანმანათლებლო პროგრამისთვის გამოყოფილია 3 აუდიტორია, აუდიტორიები ნიავედება, არის ხანძარსაწინააღმდეგო, ვენტილაციის, გათბობის, კონდიციონერების სისტემები. აუდიტორიები არის ნათელი, აღჭურვილი სასწავლო ინვენტარით, სასწავლო ვიდეო აპარატურით, საჭიროების შემთხვევებში პროფესორები ლექციების ჩასატარებლად იყენებენ ელექტრონულ და ციფრულ ტექნოლოგიებს.

სასწავლო პროცესი მიმდინარეობს პირველ ცვლაში – 10. 00 სთ – 14 00, გარდა პოსტდიპლომური სასწავლო პროცესისა, რომელიც მიმდინარეობს ინდივიდუალური გრაფიკით, სპეციალიზებულ, სემინარების კლასში.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____ ბ.ა.

I სართულზე – A1 გამოყოფილია საერთო სალექციო საათებისთვის, დაამტებით, A2 (2/03) და A3 (1.1) პრაქტიკული განყოფილებისათვის, ჯგუფური და ინდივიდუალური სამუშაოებისათვის. პროფესორებს დათმობილი აქვთ 4 კაბინეტი, სადაც მიმდინარეობს ლექციები პროფესორის კლასების შესაბამისად, სპეციალიზებული ფართი ბიბლიოთეკაში, სამეცნიერო მუშაობისათვის. აუდიტორიები აღჭურვილია შესაბამისი კომპიუტერული ტექნიკით. პროგრამას ასევე გამოყოფილი აქვს ერთი სპეციალიზებული კლასი სემინარებისათვის.

ფაკულტეტთან მუშაობს კვლევითი ინსტიტუტი, სადაც მზადდება სადოქტორო პროგრამის კვლევითი კომპონენტი და გამოყოფილია შიდასაუნივერსიტეტო გრანტი სამეცნიერო პროექტისათვის. ინსტიტუტს გამოყოფილი აქვს სასემინარო აუდიტორია და მართვის ოთახი. ორივე სივრცე აღჭურვილია კომპიუტერული ტექნიკით.

ჟურნალისტიკის საგანმანათლებლო პროგრამას გამოყოფილი აქვს 1 აუდიტორია და სპეციალიზებული პროფესორის კლასი;

ფსიქოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამას გამოყოფილი აქვს 1 აუდიტორია და სპეციალიზებული პროფესორის კლასი.

II. კომპიუტერული ტექნიკა:

- საინფორმაციო და სალექციო დატვირთვებისათვის გამოყენებულია ვიდეოპროექტორები, სლაიდების აპარატი, არსებობს ხვა ტექნიკური ციფრული მატარებლები: ფოტოაპარატი, ჩამწერი, ვიდეოთვალი, CD ფლეიერები, ტელევიზორები.

III. სტუდენტებს ემსახურება:

- ბიბლიოთეკა,
- სპორტული კლუბი
- კომპიუტერული კლასი

ბ) ბიზნესისა და გამოყენებით მეცნიერებათა ფაკულტეტი:

ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამას ბიზნესის ადინისტრირების საბაკალავრო და სამაგისტრო დონეზე.

საბაკალავრო პროგრამაზე სასწავლო პროცესი მიმდინარეობს პირველ ცვლაში – 10. 00 სთ – 14 00 სთ-მდე, ხოლო სამაგისტრო პროგრამაზე – 18.00 საათიდან 21 საათამდე. ფაკულტეტისათვის გამოყოფილია 3 აუდიტორია – B1 (3.1): B2 (3.5): B3(3.6), აღჭურვილი სასწავლო ინვენტარით. სწავლების პროცესში გამოყენებულია სასწავლო ვიზუალური ელექტრონული და ციფრული ტექნიკა. პროფესორებს დათმობილი აქვთ 2 კაბინეტი, სადაც მიმდინარეობს ლექციები პროფესორის კლასების შესაბამისად. პროფესორს აქვს საშუალება, ჩაატაროს ლექციები ვიდეო პროექტორის გაოყენებით. პროგრამას ასევე გამოყოფილი აქვს ერთი სპეციალიზებული კლასი სემინარებისათვის.

II. კომპიუტერული ტექნიკა:

- საინფორმაციო და სალექციო დატვირთვებისათვის გამოყენებულია ვიდეოპროექტორები.
- კომპიუტერული კლასი აღჭურვილია შესაბამისი კომპიუტერული პროგრამებით.

III. სტუდენტებს ემსახურება:

- ბიბლიოთეკა,
- სპორტული კლუბი
- კომპიუტერული კლასი

გ) ხელოვნებისა და არქიტექტურის განყოფილება:

ფაკულტეტს გამოყოფილი ჰქონდა სპეციალური აუდიტორიები, რომლებიც აღჭურვილი იყო სასწავლო პროცესისათვის აუცილებელი ინვენტარით. 2009/2010 სასწავლო წელს საბაკალავრო პროგრამა წარმატებით დაასრულა 3-მა სტუდენტმა.

ამჟამად ფაკულტეტი იმყოფება მიღევად რეჟიმში. სტუდენტებს ეძლევათ წინადადება, მიიღონ მონაწიეობა მობილობის პროგრამაში, რადგან დღეისთვის ფაკულტეტზე რჩება 6 სტუდენტი, სამი მიმართულებით.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____ ბ.ა.

დ) მედიცინის ფაკულტეტზე ხორციელდება პროფესიული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა ფიზიოთერაპიაში:

პროფესიული პროგრამა ფლობს ერთ სპეციალიზებულ აუდიტორიას, სასწავლო და თვალსაჩინოების მასალებს, ელექტრონულ ტექნიკას, მულიაჟებს, სპეც ინვენტარს, ფიზიოთერაპიის განყოფილების სრულ კომპლექტებს, მოძრაობის თერაპიის და ძვალკუნთოვანი სისტემის გასავითარებლად. ფაკულტეტს უშუალოდ ემსახურება ფიზიოთერაპიული კაბინეტის ინვენტარი – ფიტნესის აღჭურვილობით.

საგანმანათლებლო პროგრამაზე სასწავლო პროცესი მიმდინარეობს პირველ ცვლაში – 10. 00 სთ – 14 00 სთ–მდე, ორი კურსისათვის (I და III). მათთვის გამოყოფილია სამი აუდიტორია. პრაქტიკული ნაწილი მიმდინარეობს გ. ჟვანიას სახელობის პედიატრიულ კლინიკაში, აგრეთვე არის გერმანიაში პრაქტიკის გავლის შესაძლებლობა გერმანულენოვანი სტუდენტებისთვის ასკლიპიოსის კლინიკათა ქსელში.

პროფესორებს დათმობილი აქვთ 1 კაბინეტი, სადაც მიმდინარეობს ლექციები პროფესორის კლასების შესაბამისად. აუდიტორიები აღჭურვილია შესაბამისი სასწავლო ინვენტარით, კერძოდ, საინფორმაციო და სალექციო დატვირთვებისათვის, გამოყენებულია ვიდეოპროექტორები, სლაიდების აპარატი, არსებობს ხვა ტექნიკური ციფრული მატარებლები: ფოტოაპარატი, ჩამწერი, ვიდეოთვალი, CD ფლეიერები

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:

№	მისამართი	კვ.მ.
1	თბილისი, იეთიმ გურჯის 7ბ	1653,87
2	ქ. ბათუმი, თამარის დასახელება , ტბეთის ქ. #4	400

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სასწავლო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:

№	მისამართი	კვ.მ.
1	ქ. თბილისი, იეთიმ გურჯის 7ბ	974,22
2	ქ. ბათუმი, თამარის დასახელება , ტბეთის ქ. #4	293,22

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დამხმარე ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:

№	მისამართი	კვ.მ.
1	ქ. თბილისი, იეთიმ გურჯის 7ბ	679,65
2	ქ. ბათუმი, თამარის დასახელება , ტბეთის ქ. #4	106, 78

დასტურდება:

1. უნივერსიტეტის მიერ 2007–2010 წლებში შესყიდული სასწავლო ინვენტარი და მატერიალური ქონება (შესყიდვის აქტები, მატერიალური ქონების საგადასახადო დოკუმენტაცია, ინვენტარიზაციის აქტები ინახება ბუღალტერიაში)
2. ამონაწერები საჯარო რეესტრიდან:
 - ა) 2009 წლის 29.12, N 882009433392; კოდი: 01.18.03.023.011;
 - ბ) 2009 წლის 29.12, N 882009433394; კოდი 01.18.03.023. 010.
3. საიჯარო ხელშეკრულებები:
 - ა) 2009 წლის 29 დეკემბერი, N05/89(ა)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____ ბ.ა.

ბ) 2009 წლის 29 დეკემბერი. N05/89 (ბ)
 გ) 2009 წლის 14 აგვისტო, N05/83,

4. აზომვითი ნახაზები:
 - ა) გაცემული 21.10.08, პროფრსიონალ კონსულტანტთა ჯგუფის მიერ. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. N4;
 - ბ) გაცემული 21.10.08, პროფრსიონალ კონსულტანტთა ჯგუფის მიერ. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. N4;
 - გ) გაცემული 2008 წ. შპს იარდის მიერ.
5. მატერიალური რესურსის და აუდიტორიების განაწილებების სქემების დამტკიცების ბრძანება #37, 27.12.09;
6. სასწავლო ხელშეკრულებები 2007 წლიდან – მუხლი N2, ქვეპუნქტი 2.1.1; 2.1.2; 2.1.3, 2.1.4; (2007 წ., და შემდგომ);
7. კომპიუტერების განაწილების სქემა: ბრძ. #37, 27.12.09 ;
8. ფიზიოთერაპიის პროგრამის შესაბამისი სპეციალური ვილობა, იხ. საინვენტარო აქტში განთავსებულია ვებ გვერდზე.
9. ადმინისტრაციის ხელმძღვანელის განკარგულება N27, მატერიალური რესურსის მიზნობრივად გამოყენების თაობაზე. 12.10. 2007.
10. უნივერსიტეტის წესდება, თავი VIII, მუხლი 47.
11. შესყიდვების დამადასტურებელი დოკუმენტაცია და უნივერსიტეტის ინვენტარიზაციის ბუღალტრული დასაბუთება იხ. ინვენტარიზაციის აქტები: N07, 28.12.2007; N10/05, 02.02.2010
12. სახელმწიფოსათვის გადახდილი ქონების გადასახადის ოდენობა, საბუთები ინახება უნივერსიტეტის ბუღალტრიაში.

1.2. მატერიალური რესურსი, მათ შორის საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის კომპიუტერები და ინტერნეტი ხელმისაწვდომია სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისათვის

აღწერა:

უნივერსიტეტში მატერიალური რესურსი აისახება სასწავლო პროგრამების საჭიროებების შესაბამისად და ხელმისაწვდომია სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისთვის. აკადემიური პროგრამებში ასახული ან სტუდენტის და პროფესორის დამოუკიდებელი მუშაობისათვის საბიბლიოთეკო შიდა ქსელში განთავსებულია მიმართულებების შესაბამისი პროგრამები. კერძოდ,

ფაკულტეტები	პროგრამები	ჩატვირთვის ადგილი	მიზანი
სოციალურ მეცნიერებათა	AVP Kaspersky Business Edition 6. Office –2007; Stat 2 ; SPSS,	კომპიუტერული კლასი	სწავლება, დამოუკიდებელი მუშაობა
ბიზნესისა და გამოყენებით მეცნიერებათა	– AVP Kaspersky Business Edition 6.0, Office –2007, Oris	კომპიუტერული კლასი	სწავლება, დამოუკიდებელი მუშაობა
ხელოვნებისა და არქიტექტურის	– AVP Kaspersky Business Edition 6.0, Office –2007; Archicod , Photoshop CS3, Corel Draw CS4	კომპიუტერული კლასი ბიბლიოთეკა	სწავლება, დამოუკიდებელი მუშაობა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____ ბ.ა.

ყველა კომპიუტერი ჩართულია ინტერნეტ ქსელში და ხელმისაწვდომია სტუდენტებისათვის და აკადემიური პერსონალისთვის. უნივერსიტეტს გააჩნია სამივე **დასტურდება:**

1. კომპიუტერთა და ინტერნეტით სარგებლობის წესი (დამტკიცებულია, 2007 წლის 20 აგვისტო, ბრძ. N13)
2. ა) აკადემიურ პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულება, მუხლი #4, ქვეპუნქტები, 4.1.1; 4.1.2; 4.1.3; 4.1.4 ; 4.1.5; (2007–2010)
ბ) ადმინისტრაციულ პერსონალთან დადებული შრომითი ხელშეკრულება, მუხლი #3, ქვეპუნქტი 3.4.1. (2007წ.დან)
გ) სტუდენტთან გაფორმებული სასწავლო ხელშეკრულება; მუხლი #2, ქვეპუნქტი 2.1.1; 2.1.2; 2.1.3, 2.1.4;(2007 წ.,)
3. იხ. კურიკულუმებში ასახული მუხლი: პროგრამის უზრუნველყოფა მატერიალური რესურსით;
4. შინაგანაწესი, მუხლი თავი #4,
5. კოდექსის შექმნის ხელშეკრულება, #05/69, 2009.11.09
6. ინვენტარიზაციის აქტები, დამტკიცებული ბრძანებებით:
ა)2007 წლის 20 .09 განკარგულება #03;
ბ)2008 წლის 14 მარტი, ბრძ. #79;
გ)2009 წლის 25 .12, ბრძ. #33
7. წესდება თავი #5; თავი 6; თავი 8;
8. იხ. შიდა ქსელი, დამტკიცებულია ბრძ. #37, 27.12.09

1.3 საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო და კვლევით საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში

აღწერა:

საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო კვლევით საქმიანობაში. კომპიუტერების დიდი ნაწილი განთავსებულია ბიბლიოთეკაში და კომპიუტერულ კლასში, რომელიც ემსახურება ყველა სპეციალობის სტუდენტს, როგორც ბაკალავრიატის ზოგადი კომპეტენციების მისაღწევად აუცილებელ სასწავლო კურსს. (იხ. დადასტურება N1); უნივერსიტეტის შიდა ქსელში განთავსებულია შიდა საუნივერსიტეტო ინფორმაცია, ბრძანებები, საბჭოს გადაწყვეტილებები, ცხრილები, საგამოცდო ცენტრის ინფორმაციები, აკადემიური პროცესის მნიშვნელოვანი განცხადებები, საგამოცდო საკითხები, სტუდენტისა და პროფესორის დამატებითი ინფორმაციები(იხ დადასტურებაN 2, N3). ხდება ურთიერთგაცვლა და ელექტრონული წიგნებისა და კვლევების განთავსება. საკურსო და სადიპლომო ნაშრომების, უნივერსიტეტში შექმნილი ელექტრონული სახელმძღვანელოების განთავსება, ელექტრონული ბიბლიოთეკების საიტების მიზმა, თავისუფალი ელექტრონული საგანმანათლებლო საიტების მიზმა (იხ. დადასტურება N2). იგივე მომსახურებით სარგებლობენ სამეცნიერო – კვლევითი პროცესების რეგულირებისათვის, ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და ღიაობისათვის. უნივერსიტეტს გააჩნია ანტივირუსის ლიცენზირებული პროგრამული უზრუნველყოფა (იხ. დადასტურება N4);

დაწესებულების მართვაში საინფორმაციო – საკომუნიკაციო ქსელთან ურთიერთობას ახორციელებს მართვის მთელი აპარატი: უნივერსიტეტის ადმინისტრაცია, საფაკულტეტო ადმინისტრაცია, პროგრამული ადმინისტრაცია. უნივერსიტეტს შექმნილი აქვს კომპიუტერული სისტემა "კოდექსი" მონაცემთა ბაზით (იხ. დადასტურება N5); საკომუნიკაციო სისტემებს უნივერსიტეტის იყენებს დაწესებულების მართვაშიც. ფაკულტეტების მართვისთვის შეიქმნა ელექტრონული მართვის სპეციალიზებული პროგრამა „**სასწავლო პროცესი**“, საბიბლიოთეკო პროგრამა „**სამიზე**“, და ერთიანი საუნივერსიტეტო პროგრამა საგამოცდო პროცესის ორგანიზებისათვის „**ალფა ტესტი**“ (საგანმანათლებლო პროცესში შედის 2010 წლიდან).

დასტურდება:

1. იხ. კურიკულუმებში ასახული მუხლი: პროგრამის უზრუნველყოფა მატერიალური რესურსით;
2. კომპიუტერების განაწილების შიდა სქემა, ბრძანება N37, 27.12.09
3. ბიბლიოთეკის დებულების დამტკიცება (ბრძ.13, 2007.20.08);
4. ანტივირუსის ლიცენზირებული პროგრამის შექმნა, ხელშეკრულება N05/57, 26.03.09 ;

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____ ბ.ა.

5. კოდექსის შექმნის ხელშეკრულება, N05/69, 2009.11.09 საინფორმაციო – საძიებო სისტემა „ჯეო გიდის“ CD ვერსია, (ხელშეკრულება N05/86. 14 12.09)
6. ხელშეკრულებები მართვის პროგრამების შესყიდვაზე (NA-051, 2009წ.01.09.);

1.4. დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას

აღწერა: უნივერსიტეტში არსებობს ბეჭდურ და ელექტრონულ მატარებლებზე არსებული ფონდი. წიგნადი ფონდი შეადგენს 6341 ერთეულს. მათგან 4501 ერთეული წარმოადგენს ძირითად ან დამხმარე სახელმძღვანელოს, რომელიც შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამების სილაბუსებში ასახულ ლიტერატურას. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა მუშაობს თავისი დებულების შესაბამისად. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი გამოკრულია ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში, თვალსაჩინო ადგილას. ელექტრონული საძიებელი განთავსებულია ვებგვერდზე. ბიბლიოთეკაში დასაქმებულია კვალიფიციური პერსონალი, პარლამენტის ზ. ჟვანიას სახელობის ეროვნულ ბიბლიოთეკაში მუშაობის გამოცდილებით. ბიბლიოთეკა მუშაობს კვირაში ექვსი დღე, 48 საათის განმავლობაში.

დადასტურება:

1. ბიბლიოთეკის დებულება (ბრძ.#13, 2007.20.08);
2. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი (ბრძ.#13, 2007.20.08)
3. წიგნადი ფონდის შექმნის და ჩუქების აქტები (დაცულია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში და ბუღალტერიაში ##1– 168)
4. ბიბლიოთეკის შიდა შემოწმების აქტი #10/06, 09.03.2010;
5. გარე შემოწმება: სსიპ განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის საბჭოს 2008 წლის 30 დეკემბრის სხდომის ოქმი #18, მიღებული ექსპერტთა თემატური დადებითი დასკვნის საფუძველზე.

1.5 დაწესებულებაში არსებობს ბიბლიოთეკის კატალოგი, ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი და აუცილებელი ინვენტარით აღჭურვილი სამკითხველო დარბაზი

აღწერა:

ბიბლიოთეკაში არსებობს სამი სახის კატალოგი:

- ა) ანბანური;
- ბ) სისტემატური;
- გ) ელექტრონული;

კატალოგებზე მუშაობა მიმდინარეობს პერმანენტულად. პარალელურად, ანბანური კატალოგის ბარათები მოწმდება საცავის თაროებზე განლაგებულ წიგნებთან.

ბიბლიოთეკა აღჭურვილია შესაბამისი მატერიალური რესურსით: მაგიდები, სკამები, კომპიუტერული ტექნიკა, პრინტერი, ქსეროქსის აპარატი, სახელდახელო ფონდისათვის და პერიოდიკისათვის, სამკითხველო დარბაზში განლაგებულია თაროები. საცავი აღჭურვილია ორმხრივი თაროებით, ცეცხლჩამქრობი ბალონებით, დაცულია შესაბამისი ტემპერატურა.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____ ბ.ა.

დასტურდება:

1. ბიბლიოთეკის დებულება (ბრძ.13, 2007.20.08);
2. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი (ბრძ.#13, 2007.20.08)
3. ფაქტობრივი მასალა, წიგნადი ფონდების კატალოგები ელექტრონულ მატარებლებზე და ბარათებზე; ბიბლიოთეკის დღიური, საინვენტარო წიგნი, დასტურდება:
 - ა) ბიბლიოთეკის შიდა შემოწმების აქტი #10/06, 2010. 09.03;
 - ბ) გარე შემოწმება: სსიპ განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის საბჭოს 2008 წლის 30 დეკემბრის სხდომის ოქმი #18, მიღებული ექსპერტთა თემატური დადებითი დასკვნის საფუძველზე.
4. ხელშეკრულება პერიოდულ გამოცემებზე ჟურნალ-გაზეთების გამოწერაზე :
 - ა) N 05/51, 2008.27.10.
 - ბ) N05/55, 2009.26.02
 - გ) N05/63, 2009. 01.07
 - დ) N05/79, 2009. 17.10
 - ე) N05-10/10 2010.27.05

1.6. დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა

აღწერა:

უნივერსიტეტში 2007 წლიდან არსებობს საქმისწარმოების დებულება და საქმისწარმოების ინსტრუქცია. კალენდარული წლის ფარგლებში ხდება როგორც შემოსული და გასული კორესპონდენციის აღრიცხვა, მათი შესაბამის რეესტრებში გატარება, ასევე ინდივიდუალური აქტების აღრიცხვიანობა და გატარება რეესტრში. კოლეგიალური ორგანოს ყველა ოქმი ინახება. ოქმები ხელმოწერილია სხდომის თავმჯდომარის და მდივნის მიერ. უნივერსიტეტს გააჩნია ბლანკი, რომლის აღწერილობა ასახულია მის წესდებაში.

უნივერსიტეტის კანცელარიაში დაცულია:

1. შემოსული კორესპონდენცია/რეესტრი
2. გასული კორესპონდენცია/რეესტრი
3. კომერციული ხელშეკრულებები/რეესტრი
4. ბრძანებები/რეესტრი
5. ადმინისტრაციული პერსონალის პირადი საქმეები/შრომითი ხელშეკრულებების რეესტრი
6. აკადემიური პერსონალის პირადი საქმეები/შრომითი ხელშეკრულებების რეესტრი
7. აქტები/რეესტრი
8. სტუდენტთა პირადი საქმეები/ხელშეკრულებების რეესტრი

შესაბამის სტრუქტურებში დაცულია:

9. ფაკულტეტის საბჭოს ოქმები;
10. საკვალიფიკაციო კომისიების ოქმები;
11. სენატის სხდომის ოქმები;
12. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ოქმები;

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____ ბ.ა.

დასტურდება:

1. ყველა ზემოჩამოთვლილი დოკუმენტის ფაქტობრივი არსებობით. ბიბლიოთეკის შიდა შემოწმების აქტი N10/06, 2010.11.03.
2. გარე შემოწმება: სსიპ განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის საბჭოს 2008 წლის 30 დეკემბრის სხდომის ოქმი N18, მიღებული ექპერტთა თემატური დადებითი დასკვნის საფუძველზე.

1.7 ვებ-გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებული საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, აკადემიური პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი

აღწერა:

უნივერსიტეტს გააჩნია ვებ გვერდი, რომელიც კრიტერიუმის შესაბამისად ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას. ვებგვერდით სარგებლობს როგორც უნივერსიტეტის აკადემიური, ადმინისტრაციული პერსონალი, სტუდენტი, ასევე აბიტურიენტი და ნებისმიერი პირი, რომელსაც აინტერესებს უნივერსიტეტის საქმიანობა და განხორციელებული საგანმანათლებლო ან/და კვლევითი პროცესის მიმდინარეობა და ხარისხი.

ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაცია უნივერსიტეტის მართვის, აკადემიური პროცესის მიმდინარეობის, საბჭოს გადაწყვეტილებები. ვებ გვერდის საშუალებით ფართო საზოგადოება იღებს კონკურსის გამოცხადებას და ეცნობა შედეგებს, სტუდენტთა ჩარიცხვას. ვებგვერდზე განთავსებულია საგანმანათლებლო პროგრამები, სილაბუსები, ფაკულტეტების ინფორმაციები, ინფორმაცია უცხოელი სტუდენტებისათვის. უნივერსიტეტის ადგილმდებარეობა, აკადემიური მოსწრების შედეგები. ვებგვერდზე შესაძლებელია აკადემიური და ადმინისტრაციული რეგისტრაციის განაცხადების შევსება. ვებ გვერდის მისამართია: [www. ibeku-tbilisi.edu.ge](http://www.ibeku-tbilisi.edu.ge)

უნივერსიტეტში არსებობს ვებ მომსახურების ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს მის მომსახურებასა და სისტემატურ განახლებას.

დასტურდება:

1. ფაქტობრივი მდგომარეობით:

ა) შიდა შემოწმების აქტი N10/07, 2010.15.03;

გ) ხელშეკრულებები: A-045, 2009 .001.09; 2010.10.03

ბ) გარე საექსპერტო შემოწმება: სსიპ განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის საბჭოს 2008 წლის 30 დეკემბრის სხდომის ოქმი N18, მიღებული ექპერტთა დადებითი თემატური დასკვნის საფუძველზე.

2. დომენის ფლობის დამადასტურებელი ხელშეკრულება -N05/27, 2007.11.10

3. ხელშეკრულება დადებული პროვაიდერთა მომსახურებაზე –

ა) N 05/76, 2009.01.11; შპს „კავკასუს ონლაინ“, ელ ფოსტა, ინტერნეტ გვერდი, ვირუსების პროგრამა

ბ) N05–10/03 , 2010. 01.03 შპს „ვანექსი“, საკომუნიკაციო მომსახურება ვანექსის კუთვნილი ტექ.

საშუალებებით, აბონენტის რეგისტრაცია და მონაცემთა ქსელში ჩართვა, საკონსულტაციო მომსახურება;

გ) N12.03.10; შპს „სილქნეტი“, მომსახურება: სატელეკომუნიკაციო მომსახურების მოწყობა, ფიქსირებული სატელეფონო ნომრებით და ინტერნეტ მომსახურება FOS ტექნოლოგიით.

დ) N05/16, 2007.13.09; შპს „ვანექსი“, მონაცემთა გადაცემის ოპტიკურ ბოჭკოვან ქსელში ჩართვა, ინტერნეტ და სატელეფონო სერვისით უზრუნველყოფა.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____ ბ.ა.

1.8 უნივერსიტეტის ბიუჯეტში გათვალისწინებულია სამეცნიერო კვლევების დაფინანსება

აღწერა:

სამეცნიერო კვლევებში უნივერსიტეტი ჩართული იყო ჯერ კიდევ 2004 წლიდან.

2004–2007 წლებში გამოდიოდა ჟურნალი ახალი პარადიგმები (სტუდენტთა რაოდენობა არ აღემატებოდა 15–ს, ხოლო ხოლო უნივერსიტეტი მუშაობდა არაკრედიტირებულ რეჟიმში);

2007 –2009 წლებში, როდესაც უნივერსიტეტმა მიიღო აკრედიტაცია, ბიუჯეტიდან გამოიყო 5%-ის დაფინანსება სამეცნიერო სამუშაოს შესასრულებლად. პარალელურად, მომზადდა 5 სახელმძღვანელო და რიდერი და უნივერსიტეტმა დაიწყო შიდასაუნივერსიტეტო საგრანტო სამეცნიერო პროექტების დაფინანსება; (სტუდენტთა რაოდენობა – 54);

2009 – 2010 წელს უნივერსიტეტის ბიუჯეტში სამეცნიერო კვლევების ხვედრითი წილი გაიზარდა 20 %-მდე (სტუდენტთა რაოდენობა 161).

დასტურდება:

1. 2009/2010 წლის ბიუჯეტის დამტკიცების ბრძანება, 30. 14.12.09
2. სამეცნიერო გამოცემა ჟურნალი „ახალი პარადიგმები“, ხელშეკრულება N 05/6, 04.06.2007, „სტრატეგიული კვლევები N2“; 2009 წლის სექტემბერი, (ა/ფ ინახება ბუღალტერიაში)
3. ფაქტობრივი მასალა სახელმძღვანელოები, რიდერები;
4. 2009 წლის სექტემბერში უნივერსიტეტის ეგიდით თბილისში ჩატარებული სამეცნიერო კონფერენციის მასალები, ფოტომასალა განთავსებულია ვებ გვერდზე.

1. საგანმანათლებლო პროგრამები

